რეცენზია - ანალიტიკური ჟურნალისტური ჟანრის ჭრილში

ნათია ჯიქია, ნუნუ ჩარკვიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail:natiajikia17@gmail.com, nunucharkviani@gmail.com;

https://doi.org/10.52340/lac

რეცენზია მხატვრულ-ანალიტიკური პუბლიცისტური ჟანრია, რომელიც მხატვრული ან სამეცნიერო ნაწარმოების შეფასების შედეგად იწერება. ეს არის ავტორისეული შეფასება იმ მხატვრული ნაწარმოებისა (კინო, სპექტაკლი, წიგნი, ხუროთმოძღვრების ნიმუში, სახვითი ხელოვნების გამოფენა), რომელიც არკვევს საკითხს: „რა სურდა ეთქვა ავტორს და როგორ გამოხატა მან ეს?“

სხვა საგამომძიებლო ჟანრებთან შედარებით სხვაობა რეცენზიისა იმაშია, რომ ანალიზის საგანს წარმოადგენს რეალობის ასახვა, ანუ იმ რეალობისა, რომელმაც ჰპოვა უკვე ასახვა შემოქმედებით ნაწარმოებში- ხელოვნების, მეცნიერების, პუბლიცისტიკის მიმართულებით, ამიტომაც ავტორი ყოველთვის შეუსაბამებს საკუთარ შეხედულებებს იმ გარემომცველ სამყაროს, რამდენადაც ეს სამყარო გადმოცემულია მიმოხილულ ნაწარმოებში.

რამდენადაც მხატვრული ნაწარმოები - ესაა სახეების კონცენტრირებული სისტემა, რომელიც ასახავს მხატვრის შთაბეჭდილებას მის გარემომცველ სინამდვილეზე, კრიტიკოსი ცდილობს გაიგოს, რა სურდა ეთქვა ავტორს და როგორ აისახა ნაწარმოებში. ესაა ძიება კითხვებზე პასუხებისა: „რა სურდა ეთქვა ავტორს?“ და „როგორ თქვა?“- ეს ყოველივე კი გვეხმარება შევქმნათ ერთიანი წარმოდგენა რეცენზირებად საგანზე და განაპირობებს ჟურნალისტური ტექსტის მიზანდასახულებას. ტექსტის შექმნის პროცესი სარკისებურად აირეკლავს კრიტიკოსი-პუბლიცისტის აზროვნების მსვლელობას.

მიმოხილვა უნდა იყოს მკაფიო შინაარსითა და ფორმით, ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებისთვის, მსმენლებისთვის, მაყურებლისთვის. ამისთვის რეცენზენტმა ღრმად უნდა შეისწავლოს განსახილველი ნაწარმოები იმ პრინციპებისა და წესების გათვალისწინებით, რომლითაც ხელმძღვანელობდა მწერალი, მეცნიერი ან მხატვარი, შეძლოს ანალიზის მეთოდების გამოყენება და თავისუფლად ფლობდეს განხილული ნაწარმოების ენას.

საკვანძო სიტყვები: რეცენზია, ანალიზის საგანი, რეცენზენტი.

„ტერმინი „რეცენზია“ წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან (recension) და განხილვას, კრიტიკას, შედარებას ნიშნავს. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ იგი განმარტებულია, როგორც „ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის, წარმოდგენის, კინოსურათისა და მისთ. კრიტიკული შეფასება.“ (მ.ვეკუა, 2013; 244).

რეცენზია ანალიტიკური ჟურნალისტიკის განუყოფელი ნაწილია. რეცენზიის პუბლიცისტური აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ოპერატიულად გამოეხმაუროს ხელოვნების კონკრეტული ნაწარმოების გამოჩენას და შექმნას სახე რეცენზირებული ნაწარმოებისა, აუხსნას მკითხველს ან მსმენელს, რამდენადაა ერთმანეთთან დაკავშირებული ესთეტიკურად გაფორმებული სამყარო, ხელოვანის ფანტაზია და მისი ვირტუალური სამყარო.

რამდენადაც მხატვრული ნაწარმოები- ესაა სახეების კონცენტრირებული სისტემა, რომელიც ასახავს მხატვრის შთაბეჭდილებას მის გარემომცველ სინამდვილეზე, კრიტიკოსი ცდილობს გაიგოს, რა სურდა ეთქვა ავტორს და როგორ აისახა ნაწარმოებში. ესაა ძიება კითხვებზე პასუხებისა: „რა სურდა ეთქვა ავტორს?“ და „როგორ თქვა?“- ეს ყოველივე კი გვეხმარება შევქმნათ ერთიანი წარმოდგენა რეცენზირებად საგანზე და განაპირობებს ჟურნალისტური ტექსტის მიზანდასახულებას. ტექსტის შექმნის პროცესი სარკისებურად აირეკლავს კრიტიკოსი-პუბლიცისტის აზროვნების მსვლელობას, აქვე, გამოიყოფა 4 ურთიერთდამოკიდებული ეტაპი:

- **ნაწარმოების აღქმა** - ემოციონალური აქტი კომუნიკაციური ურთიერთობისა ნაწარმოებთან;
- **მსჯელობა წაკითხულზე, ნანახსა და გაგონილზე, (მოსმენილზე);**
- **ანალიზის პრაქტიკული განხორციელება,** ანუ განსაზღვრა ნაწარმოების თემისა და იდეისა, სახეთა სისტემებისა, რომლებიც გამოხატავენ მხატვრის ჩანაფიქრს, ნაწარმოების სტრუქტურულ-კომპოზიციურ თავისებურებებს, კონფლიქტის ბუნებას, როგორც წინმსწრაფველი ძალისა, ენისა და სტილის თვისობრიობას;
- **საკუთრივ ტექსტის დაწერა.**

„მიმოხილვა უნდა იყოს მკაფიო შინაარსითა და ფორმით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებისთვის, მსმენლებისთვის, მაყურებლებისთვის.

ამისთის რეცენზენტმა ღრმად უნდა შეისწავლოს განსახილველი ნაწარმოები იმ პრინციპებისა და წესების გათვალისწინებით, რომლითაც ხელმძღვანელობდა მწერალი, მეცნიერი ან მხატვარი, შეძლოს ანალიზის მეთოდების გამოყენება და თავისუფლად ფლობდეს განხილული ნაწარმოების ენას“ (*Тертычный А.А;2000;).*

მოკლედ რომ ვთქვათ, რეცენზენტი პასუხობს კითხვებზე: „რის შესახებ არის ეს ყოველივე“? ამის შემდგომ ის გვთავაზობს საგანთა თავისებურ ინტერპრეტაციას (მხატვრის ჩანაფიქრის განხორციელებას). ნაწარმოების იდეურ-ფილოსოფიური ადგილების გახსნას, სახეებისა და სიმბოლოების გაშიფრვას, ის გვთავაზობს ნაწარმოების ყველა კომპონენტის გააზრებას ერთმანეთის ურთიერთკავშირში.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული ნაწარმოების ანალიზისას რეცენზენტი ვალდებულია ჩააქსოვოს ის მხატვრულ პროცესში, მხატვრულ ტრადიციაში, მხატვრულ მოდაში. ამის გაკეთება შესაძლებელია სხვადასხვა ხერხითა და მიდგომით:

1. **ჟანრობრივ დონეზე-** მაგალითად, ანალიზს ვუკეთებთ რომანს ჟანრის ევოლუციასთან მიმართებაში

2. **ბიოგრაფიულ დონეზე-** განვიხილავთ საგანს მხატვრის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ჩარჩოში

3. **თემატურ დონეზე-** შევაფარდოთ მხატვრის მიერ დამუშავებული თემატიკა იმასთან, რაც უკვე ითქვა აღნიშნულ საკითხზე;

4. **სახეების დონეზე-** ვუჩვენოთ ევოლუცია გმირისა მსოფლიო ხელოვნების სახეთა სისტემაში.

მრავალსახეობა მხატვრული რეცენზიისა მრავალრიცხოვანია. ისინი შეესაბამებიან ხელოვნების ყველა ძირითად სახეობას (კინორეცენზია, ლიტერატურული რეცენზია, თეატრალური რეცენზია, მუსიკალური რეცენზია და ა. შ.) თითოეული მათგანის თავისებურება ეფუძნება ანალიზის საგანს, განსახილველი ფორმების თავისებურებებს. თეატრალურ რეცენზიაში, მაგალითად, კრიტიკოსს საქმე აქვს მუდმივად განახლებად სანახაობასთან, კინორეცენზიაში- დინამიურად ორგანიზებული სანახაობრივი მხარის განსაკუთრებულ ორგანიზაციასთან (კადრი, რაკურსი, მონტაჟი), ლიტერატურულ რეცენზიაში- სიტყვიერ სახეებთან, რომელიც „გადაიზრდება“ პლასტიკურ, მკითხველის მიერ შექმნილ ფანტაზიაში. რეცენზიის თითქმის ყველა სახეში იგრძნობა კრიტიკოსის

მისწრაფება გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სამყაროსადმი მხატვრული ნაწარმოების ანალიზის კვალობაზე.

„მიმომხილველის მთავარი იდეაა: გამოავლინოს ავტორის იდეოლოგიური და შემოქმედებითი ჩანაფიქრი. იფიქრეთ, როგორ, რა საშუალებებს იყენებს მის განსახორციელებლად და რა არის შედეგი. ეს არის რეცენზენტის აზრის მოძრაობის შიდა ნაკვეთი. მისი მიმოხილვის შემადგენლობა შეიძლება იყოს მობილური, მოქნილი“ (Смирнов В.В.;2002;).

„ჟურნალისტი რეცენზიაში აფასებს და წარმოაჩენს კონკრეტული ნაშრომის დადებით და უარყოფით მხარეებს, არგუმენტირებულად ხსნის ავტორის თვალსაზრისს, იშველიებს განსახილველი ნაწარმოების გარშემო არსებულ კომპეტენტურ მოსაზრებებს და ლოგიკურად ასაბუთებს მის მიმართ დამოკიდებულებას“(მ. ვეკუა, ;2013;244).

რეცენზია- ჟანრი ესთეტიკურ-კონცეპტუალურია. პუბლიცისტის შეფასება- ეს არაა სუბიექტური თვითნებობა („მოწონება-არმოწონება“), არამედ წყაროს თანმიმდევრულად არგუმენტირებული განხილვა. ის შეიძლება არ ატარებდეს ამომწურავ ხასიათს (თეატრალურ რეცენზიაში, მაგალითად, შეიძლება შემოვიფარგლოთ სპექტაკლის რეჟისორული მუშაობის ანალიზით ან ერთი-ორი მსახიობის თამაშით), მაგრამ ყოველთვის მთავარია, მივცეთ აუდიტორიას ერთობლივი წარმოდგენა ნაწარმოებზე და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მდგომარეობა: სოციოლოგები ტრადიციულად აღნიშნავენ არცთუ ისე მაღალ რეიტინგს (3-4% კულტურის სფეროზე დაწერილი მასალებისა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.) აქედან სრულებით არ არის საჭირო ვივარაუდოთ, რომ რეცენზია- ესაა ჟანრი ელიტარული, რომელიც უპირველეს ყოვლისა, გათვლილია მოსახლეობის სპეციალურად მომზადებულ ნაწილზე. კრიტიკოსის პუბლიცისტური მოვალეობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დააინტერესოს აუდიტორია ნაწარმოებებით, რომლითაც იქმნება წარმოდგენა საზოგადოების შემოქმედების მდგომარეობაზე ზოგადად.

„არცერთი მკითხველი, მაყურებელი ან მსმენელი არ ჩაიკითხავს გრძელ ამბავს და არ უყურებს ბოლომდე დოკუმენტურ ფილმს, თუ ჟურნალისტი საინტერესოდ არ მიაწვდის მასალას, ანდა თუკი სტატია მოკლე ახალ ამბებზე გაცილებით უკეთ არ იქნება დაწერილი. გრძელი სტატია, ასევე კარგად უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ მკითხველი ან მაყურებელი ბოლომდე გაჰყვეს.“(მელვინ მენჩერი;2013;182)

რეცენზია- ესაა საგანმანათლებლო ჟანრი. ზიარება სამყაროს ესთეტიკურ მრავალფერონებასთან კრიტიკოსი-რეცენზენტის შუამავლობის გარეშეც შესაძლებელია, მაგრამ გამოცდილი წინამძღოლი ამ გზაზე- იმის გარანტიაა, რომ მხატვარს არ გაუწყდება კავშირი აუდიტორიასთან.

ლიტერატურა:

1. მ. ვეკუა, ჟილ რუე, „ჟურნალისტიკა“, თბილისი, ავტორთა ჯგუფი, გამომც. „მერიდიანი“, გთსუ, 2013წ.(244-245)
2. მელვინ მენჩერი „ახალი ამბების წერა“, კოლუმბიის უნივერსიტეტი, 2013 წ., (169-191)
3. *Тертычный А.А.*ЖАНРЫ ПЕРИОДИЧЕСКОЙ ПЕЧАТИ, *Учебное пособие* , Аспект Пресс, 2000, http://www.evartist.narod.ru/text2/01.htm
4. Смирнов В.В.ЖАНРЫ РАДИОЖУРНАЛИСТИКИ *Учебное пособие для вузов,*М.: Аспект Пресс, 2002. http://evartist.narod.ru/text9/40.htm

Natia Jikia, Nunu Charkviani

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

A review is an artistic-analytical journalistic genre

Abstract

A review is an artistic-analytical journalistic genre, which is written as a result of an avaluation of an artistic or scientific work. It is an author's evaluation of a work of art (film, play, book, piece of architecture, fine art exhibition) that explores the question: "What did the author want to say and how did he express it?"

As a work of art is a concentrated wywtem of forms that reflects the atists's impression of the surrounding reality, the critic tries to understand what that reflects the artist's impression of the surrounding reality, the critic tries to understand what the author wanted to say and how it was reflected in the work. This is the search for answers to the questions: "What did the author want to say?" and "How did he say it?" – all this helps us to create a unified idea of the reviewedsubject and determines the purpose of the journalistic text. The process of creating a text mirrors the course of thinking of a critic-publicist.

The question of what to review is of paramount importance to the author. It is clear that the reviewer is simply not able to cover all the phenomena of cultural or scientific life with his attention, and this is impossible due to the limited capabilities of the media. Therefore, the most outstanding

performances, books, films, including “scandalous” ones, are reviewed mainly. Works that have caught the attention of the public. The review, of course, should pursue some importante goal – to tell the audience about what really deserves its attention, and about what is unworthly of its attention, to help it better understand the issues of the area that the reviewed work concerns.

The review should be clear in content anf form, accessible to addressees of different categories of readers, listeners, viewers. To do this, the reviewer needs to deeply study the work under review, taking into account the principles and rules that guided the writer, scientist or artist, be able to use analysis methods and be fluent in the language of the work under review.